საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იმნაიშვილი ივანე ბესარიონის ძე

იმნაიშვილი ივანე ბესარიონის ძე (10. I. 1906, სოფ. ლაშისღელე, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 26. I. 1988, თბილისი), ენათმენიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ საენათმეცნიერო განხრით (1930). 1930–38 ეწეოდა პედ. საქმიანობას ლანჩხუთში, მცხეთასა და თბილისში. 1939–45 მუშაობდა თსუ-ის ქართ. ენის კათედრაზე, კათედრის გაყოფის შემდეგ – ძვ. ქართ. ენის კათედრაზე (1945–88). 1949–51 იყო ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედ. ინ-ტის ქართ. ენის კათედრის გამგე.

ი. იკვლევდა ძვ. ქართ. ენის ძეგლებს. მოამზადა და გამოსცა „ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია" (1979), ახალი აღთქმის წიგნებიდან – „იოანეს გამოცხადება" და მისი თარგმანები (1961), თხზულების ძვ. ქართ. ვერსიასთან ერთად წარმოდგენილია ანდრია კესარიელის „თარგმანებაჲ". ტექსტს ახლავს გამოკვლევა და ლექსიკონი. ასევე გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოსცა „წამება შვიდთა ყრმათა მაკაბელთა" (1980).

ი. აბულაძესთან ერთად ი. მონაწილეობდა ქართ. ოთხთავის ძვ. რედაქციის გამოცემაში სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (გამოსცა ა. შანიძემ, 1945), ძვ. ქართ. ენის კათედრის სხვა წევრებთან ერთად – სინური და უდაბნოს მრავალთავების გამოცემაში.

ი-მა შეადგინა სასწ. დანიშნულების „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია" ორ ტომად (ტ. 1, 1949; ტ. 2, 1963). ამავე დანიშნულებისაა აგრეთვე ი-ის გამოცემა „საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში" (ტ. 1, 1963; ტ. 2, 1966). მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის" სიმფონიის შედგენაში.

ი-მა ძვ. ქართ. ენის გრამატიკის საკითხებს მიუძღვნა ფუნდამენტური ნაშრომები. მან შეავ სო და ცალკე წიგნად გამოსცა (1972) ძვ. ქართ. ენის მიმოხილვა და ტაბულები. ძვ. ქართ. ზმნის მორფოლ. სტრუქტურის კვლევას ეძღვნება მონოგრაფია „ზმნა ძველ ქართულში", რ-იც გამოსაცემად მოამზადა და 1996 მაინის ფრანკფურტში გამოსცა მისმა შვილმა ვ. იმნაი-შვილმა. ამ ნაშრომისათვის ი. და ვ. იმნაიშვილებს მიენიჭათ ა. შანიძის სახ. პრემია.

ი. თანაავტორია (ა. შანიძესა და ლ. კვაჭაძესთან ერთად) ქართ. ენის სასკოლო სახელმ-ძღვანელოებისა. მას ეკუთვნის მეთოდიკური წერილები ძვ. და ახ. ქართ. ენის სწავლების საკითხებზე სკოლაში; წერილების სერია თანამედროვე ქართ. *სალიტ.* ენის ნორმალიზაცი-ის საკითხებზე. წიგნად გამოიცა მისი „ქართული პოეტური ენის საკითხები" (1966), აგრეთ-ვე „ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა" (1968).

თხზ.: ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948–49; სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957; სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975.

ზ. ჭუმბურიძე